საგადასახადო სამართლის კურსი:

კურსს უძღვება ექსპერტი საგადასახადო სამართალში - ზვიად როგავა .

მსმენელი შეისწავლის საგადასახადო სამართლის შემდეგ საკითხებს:

- საგადასახადო სამართალი და საგადასახადო სამართლებრივი ურთიერთობები;
- გადასახადის ცნება, ნიშნები, სტრუქტურა და კლასიფიკაცია;
- საგადასახადო კანონმდებლობა საგადასახადო სისტემა
- საგადასახადო სამართლის სუბიექტები;
- გადასახადის გადამხდელის ცნება და სახეები;
- საგადასახადო ადმინისტრაციები;
- საგადასახადო წარმოება და მისი ძირითადი სტადიები;
- გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი
- საგადასახადო კონტროლი, საგადასახადო პასუხისმგებლობა, საგადასახადო შეთანხმება;
- საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, საშემოსავლო და მოგების გადასახადები;
- საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, დამატებული ღირებულებების გადასახადი;
- საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, სხვა არაპირდაპირი გადასახადები,
- ადგილობრივი გადასახადები.

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მსმენელს ეცოდინება:

- საგადასახადო სამართლის მარეგულირებელი ნორმები, საგადასახადო სამართლის როლი და მნიშვნელობა;
- საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები;

- საგადასახადო სისტემაში შემავალი გადასახადების აკრეფასა და გადახდასთან დაკავშირებული ურთიერთობები;
- გადასახადის გადამხდელების და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივი მდგომარეობა;
- საგადასახადო პასუხისმგებლობისა და საგადასახადო კონტროლის სამართლებრივი ასპექტები;
- საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესი და პირობები.

მსმენელი შეიძენს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ეფექტურ უნარს და შეძლებს:

- საგადასახადო სამართლის პრობლემატიკის გამოაშკარავებასა და მისი აღმოფხვრის საუკეთესო გამოსავლის პოვნას;
- საგადასახადო-სამართლებრივი ნორმების განმარტებას;
- საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობების თეორიულ საკითხებზე ლოგიკურ მსჯელობას;
- საგადასახადო-სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენას;
- ცალკეული გადასახადების გამოანგარიშებას;
- საგადასახადო სამართლის ნორმების პრაქტიკაში გამოყენებას;
- საგადასახადო დავების წარმართვას საგადასახადო ორგანოებში და სასამართლოში.

ოთხი ლექციის შემდეგ მსმენელებს ჩაუტარდებათ შუალედური გამოცდა, ხოლო კურსის დასრულების შემდეგ საბოლოო გამოცდა და გაიცემა სერთიფიკატი.

სასწავლო კურსი შედგება 10 ლექციისაგან, ლექციის ხანგრძლივობა 2 საათი, სრული კურსის ღირებულება 450 ლარი.